# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№543 2020 წლის 17 მარტი ქ. თბილისი

**,,ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ,,ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) რომელიც ამ განკარგულების ძალაში შესვლამდე ბოლო 7 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 განკარგულებით განსაზღვრულ ეპიდემიური რისკის მქონე ქვეყნებში ან მოემგზავრება ასეთი ქვეყნების გავლით – საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;“.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი გახარია**